

## ხელშეკრულება № 85-ბ/15

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი ;

საფუძველი: საქ. მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N173 განკარგულება

“21” აგვისტო 2015 წ.

ქ.თბილისი

### 1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და ხელშეკრულების დადების საფუძველი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მიზნით ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) შპს „საქართველოს მელიორაცია“ (მისამართი: ქ. თბილისი, მარსალ გელოვანის გამზირი №6) მისი გენერალური დირექტორის ლევან დვალის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი/შემსრულებელი**) სს „საქენერგორემონტი“, (მისამართი: ქ. თბილისი, ზაჰესი კასკადის ქ. #1ა) მისი ფინანსური დირექტორის გიორგი მაღრაძის სახით ურთიერთშეთანხმებისა და მოხსენებითი ბარათის Nშ-584 საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPV 50500000) შექმნა; კერძოდ ტუმბოების შეკეთება ტექნიკური მომსახურება (CPV 50511000) და შემაერთებელი ქუროების შეკეთება (CPV 50514300). (იხ.დანართი N1).

### 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 4059.20 (ოთხი ათას ორმოცდაცხრამეტი ლარი და 20 თეთრი) ლარით.

### 4. სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

4.1. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2015 წლის 21 აგვისტოდან 2015 წლის 10 სექტემბრამდე, შემდეგ მისამართზე: სამცხე ჯავახეთის სერვის ცენტრი, ზრესის სატუმბო სადგური.

### 5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 გასაწევი მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 გასაწევი მომსახურების (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.



5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტებს და სხვა შესაბამის დოკუმენტებს ხელს მოაწერს შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტექნიკური ექსპლუატაციის ჯგუფის სპეციალისტი გენადი ტორონჯაძე.

## **6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

6.1. გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და მისი ვარგისიანობის ვადა აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან სიტყვიერი და/ან წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

## **7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები**

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო ღირებულების შესაბამისად.

## **8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

## **9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია გასაწევი მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



## 10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვევულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 21 აგვისტოდან 2015 წლის 10 ოქტომბრამდე.

## 12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

13.2. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

13.3. შესრულების კონტროლის ფორმაა ინსპექტირება, რომელსაც ახორციელებს შემსყიდველის მხრიდან შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ოფისის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტექნიკური ექსპლუატაციის ჯგუფის სპეციალისტი გენადი ტორონჯაძე და შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ოფისის კომერციული ჯგუფის სპეციალისტი ზვიად ბეგიაშვილი.

13.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

## 14. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

14.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;



14.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

14.3.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

14.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.3.4. მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე რის შესახებაც ერთმანეთს აცნობებენ წერილობით სახით.

### 15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

15.2. თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაციის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

15.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა. ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“  
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია“  
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568  
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ  
გელოვანის გამზ. N6  
ს/ს საქართველოს ბანკი  
ბანკის კოდი: BAGAGE22  
ა/ა: GE58BG000000182323100

გენერალური დირექტორი: ლევან დვალი



„მიმწოდებელი“  
სს „საქენერგორემონტი“  
საიდენტიფიკაციო კოდი 236037962  
მისამართი: ქ. თბილისი, ზაპესი კასკადის ქ. #1ა  
ს/ს „საქართველოს ბანკი“  
ბანკის კოდი: BAGAGE22  
ა/ა: GE68BG0000000348284100

ფინანსური დირექტორი: გიორგი მადრაძე



2015 წლის 21 აგვისტო  
N85-ბ/15 ხელშეკრულების  
დანართი N1

ფასთა ცხრილი

N	საქონლის დასახელება	კლასიფიკატორის კოდი (CPV)	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები	მიწოდების ადგილი
1	პატარა ტუმბოს აღდგენა	CPV-50511000	1 ცალი	1609.5	1609.5	21/08/2015	სამცხე ჯავახეთის სერვის ცენტრი, ზრესის სატუმბო სადგური
2	თითების აღდგენა რესტავრაცია Ø36 L110	CPV-50514300	8 ცალი	65.79	526.3	10/09/2015	
3	თითების აღდგენა რესტავრაცია Ø50 L110	CPV-50514300	28 ცალი	68.693	1923.4		
სულ:					4059.20 ლარი		

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.

შ.პ.ს „შემსყიდველი“  
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია“  
გენერალური დირექტორი: ლევან დვალი

„მიმწოდებელი“  
სს „საქენერგორემონტი“  
ფინანსური დირექტორი: გიორგი მაღრაძე